საქართველოს, ძლიერება გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№56 (6432) 9 მაისი ხუთშაბათი ფასი 5 კაპიკი

სოფლის საკრებულოთა პირველი სესიები

გაიმართა წიფერჩის სოფლის საკრებულოს პირველი მოწვევის პირველი სესია დღის წესრიგით: არჩევნები:

1. საკრებულოს სამანდატო კომისიის;
2. საკრებულოს მდივნის და მდივნის მოადგილის;
3. საკრებულოს სარევიზიო კომისიის;
4. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიის;
5. საკრებულოს გამგებლის;
6. რაიონულ საკრებულოში წარმომადგენლის.

სესია გახსნა ცაგერის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გურამ ჩარკვიანმა

სესიამ აირჩია სამანდატო კომისია 3 დეპუტატის შემადგენლობით.

სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ა. დავითულიანის მოხსენება და ცნო ყველა დეპუტატის რწმუნება და ადგილობრივი საარჩევნო კომისიის მუშაობა ჩათვალა დამაკმაყოფილებლად.

გაიმართა არჩევნები

საკრებულოს მდივნად დასახელებული იყო 3 კანდიდატურა. დახურული ფარული კენჭისყრით სესიამ საკრებულოს მდივნად აირჩია ნორა ლარცულიანი, მდივნის მოადგილედ არჩეულ იქნა ცაგუ ახვლედიანი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა 3, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიაში 5 დეპუტატი.

სესიამ დახურული ფარული კენჭისყრით საკრებულოს გამგებლად აირჩია გია ჩარკვიანი, ინჟინერ-ტექნოლოგი, რომელიც მუშაობდა რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის" რედაქციაში კორესპონდენტად.

რაიონულ საკრებულოში წარმომადგენლად არჩეულ იქნა დეპუტატი გერმანე ნემსწვერიძე.

* * *

გაიმართა ოყურეშის სოფლის საკრებულოს პირველი მოწვევის პირველი სესია.

სესია გახსნა ცაგერის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გივი ხეცურიანმა.

არჩეულ იქნა სამანდატო კომისია.

სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ნ. მუშკუდიანის მოხსენება და ცნო ყველა დეპუტატის რწმუნება და ადგილობრივი საარჩევნო კომისიის მუშაობა ჩათვალა დამაკმაყოფილებლად.

გაიმართა არჩევნები.

საკრებულოს მდივნად არჩეული იქნა თემურ ყურაშვილი, მდივნის მოადგილედ ელეონორა უგრეხელიძე.

სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 3, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიაში 5 დეპუტატი. კომისიათა თავმჯდომარეებად არჩეული არიან ჯემალ ჩიკვაიძე და იაშა მამარდაშვილი.

სესიამ დახურული ფარული კენჭისყრით საკრებულოს გამგებლად აირჩია გიორგი მამარდაშვილი, ინჟინერი, რომელიც მუშაობდა საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციაში.

* * *

გაიმართა ზუბის სოფლის საკრებულოს პირველი მოწვევის პირველი სესია.

სესია გახსნა ცაგერის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გურამ ჩარკვიანმა.

არჩეულ იქნა საკრებულოს სამანდატო კომისია.

სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ჯენი მანდარიას მოხსენება და ცნო ყველა დეპუტატის რწმუნება და ადგილობრივი საარჩევნო კომისიის მუშაობა ჩათვალა დამაკმაყოფილებლად.

გაიმართა არჩევნები.

საკრებულოს მდივნად არჩეულ იქნა გოგუცა ჩაკვეტაძე, მდივნის მოადგილედ მამუკა ჩაკვეტაძე.

სესიამ აირჩია საკრებულოს სარევიზიო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიები.

სესიამ დახურული ფარული კენჭისყრით საკრებულოს გამგებლად აირჩია დეპუტატი პიერ ფუტკარაძე.

რაიონულ საკრებულოში წარმომადგენლად არჩეული იქნა საგზაო სამმართველოს უფროსი დეპუტატი ოლეგ გიორგობიანი.

* * *

სესიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო რაიონის პრეფექტმა ტარიელ ალავიძემ.

ეს დღეები სოფლად

მოსავლის ბედი ახლა წყდება

დღეს იმის შეხსენება არავის სჭირდება, რომ მხოლოდ და მხოლოდ აგროვადების დაცვით დახნულმა და დათესილმა შეიძლება მოგვცეს მოსავლის მიღების გარანტია, მით უფრო რაიონის ისეთ მთიან სოფლებში, როგორიც ლაილაშია.

მიზანი ერთი უნდა გვქონდეს, მიწისადმი პასუხისმგებლობის გაძლიერება, ისე შრომა, როგორც სამშობლოს დამოუკიდებლობას სჭირდება. ვინ არ გრძნობს დღეს ქალაქად თუ სოფლად შექმნილ რთულ ეკონომიკურ სიტუაციას, ამიტომ დიდი შეგნებით უნდა მოვეკიდოთ საქმეს, იმ საქმეს, რასაც სამეურნეო წლის მოსავლის საფუძვლის მომზადება ჰქვია.

ლაილაშელთა ერთ-ერთი საზრუნავი ვაზია, მაგრამ მისდამი წლების განმავლობაში გულგრილმა დამოუკიდებლობამ საგრძნობლად შეამცირა ვენახის ფართობიც და შესაბამისად მოსავლიანობა. ახლა მათ განკარგულებაში 10 ჰექტარი მსხმოიარე ვაზია. მევენახეები მართალია, გაოგნებული არიან, არ იციან რა წესით იქნება ანაზღაურება, მაგრამ ... კი აქვთ შეგნებული, რომ ზვარი მოუვლელი არ უნდა დარჩეს, მინდორი კი დაუთესავი.

ვაზი გასხლული, აწენებული და დამაგრებულია, მიმდინარეობს რიგთაშორისების დამუშავება. გულერთგულად შრომობენ მევენახეები რომან, მურმან, გულნარა ჩაჩხიანები, გია გიორგობიანი, ოთარ ლეფსწვერიძე, ვერიკო ხეცურიანი და სხვა. დამუშავებულია 8 ჰექტარი ფართობი.

ორი კვირაა ველ-მინდვრებში 46 ჰექტარი სამარცვლე სიმინდის დასათესად ხვნას შედგომიან ჩვენთვის კარგად ცნობილი გამოცდილი მექანიზატორები მიტუშა მესხაძე და ოთარ ქარსელაძე, როგორც გვითხრეს, შეფერხება არაფერში აქვთ. საწვავი არის, სათესი მასალა თვით მოიჯარეებისაა და თუ ამინდმა ხელი შეუწყო, ხვნა-თესვის დამთავრებას 12 მაისისათვის ვარაუდობენ.

ასე, რომ მდგომარეობის გაუმჯობესებას, საგაზაფხულო სამუშაოების გააქტიურებას ცდილობენ ლაილაშელი მშრომელები.

ბ. ბაქრაძე.

---

26 მაისს პრეზიდენტის არჩევნებია

კოლექტივის ნებით

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებია. დიდი პოლიტიკური სამზადისია რესპუბლიკაში. ქართველი ხალხი პრეზიდენტობის კანდიდატთაგან ხმას მისცემს ყველაზე ღირსეულს, ეროვნულ გმირს, საქართველოს თავისუფლებისათვის უშიშარ მებრძოლს. ამის დასტურია შრომით კოლექტივებში გამართული კრებები.

ამ დღეებში ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მუშრომელები შეიკრიბნენ და გამოხატეს ერთსულოვანი ნება 26 მაისს ერთსულოვნად მისცენ ხმა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატ გამსახურდიას კანდიდატურას.

კოლექტივს კარგად ესმის, რომ თავისუფლების გზაზე შემდგარ საქართველოს სჭირდება თავდაუზოგავი შრომა, ეკონომიკის წამოწევა, მშრომელთა კეთილდღეობის გარანტის შექმნა. კოლექტივი ცდილობს ანგარიშიანი შრომით, მომსახურებით კულტურის ამაღლებით ამრავლოს წარმატებები, იყოს ღირსი შრომობდეს და მოღვაწეობდეს თავისუფალ საქართველოში.

ერთსულოვანი მხარდაჭერა

8 მაისს, დილით ადრე შეიკრიბნენ ცაგერის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის პედაგოგები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, რათა გამოეხატათ თავიანთი მოსაზრება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ.

ამ საკითხისადმი მიძღვნილ კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ პროფსასწავლებლის დირექტორი ჯიბილო მიქაძე, პედაგოგები, მოსწავლეები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო", რომელსაც სათავეში უდგას ბატონი ზვიად გამსახურდია, არჩევნებში გამარჯვებისთანავე ყველაფერს აკეთებს მოსახლეობის ინტერესების უზრუნველყოფისათვის, ბატონი ზვიადი გახლავთ ლიდერი საქართველოში ეროვნული მოძრაობისა, რომელსაც ქართველი ხალხი მოჰყავს სანუკვარი ოცნების—თავისუფალი, ეკონომიკურად ძლიერი საქართველოსაკენ.

სასწავლებლის თითოეული მუშაკი ერთსულოვნად მისცემს ხმას პრეზიდენტობის ერთადერთ სრულუფლებიან კანდიდატს ბატონ ზვიად გამსახურდიას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების მუშაკთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ

საცალო ფასების რეფორმისა და საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პირობებში სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულების მუშაკთა სოციალური დაცვის გაძლიერებისა და მწარმოებელი დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების დონიდან მათი ხელფასის ჩამოყალიბებული ჩამორჩენის ლიკვიდაციის მიზნით:

1. 1991 წლის 1 მაისიდან დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების და ორგანიზაციების წამყვანი პროფესიების მუშაკთა ხელფასის ახალი განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტის 1991 წლის 20 მარტის №70 დადგენილებით გათვალისწინებული პირობებისა და წესების დაცვით.

ამ დაწესებულებების სხვა მუშაკთა შრომის ანაზღაურება მოხდეს აღნიშნული დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მითითებულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყოს სათანადო სახსრები.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად უზრუნველყონ ბრძანებულების პირველ მუხლში აღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსება.

3. სათანადო სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებმა, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა უზრუნველყონ სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების შესაბამის მუშაკთა შრომის ანაზღაურება ახალი პირობებით.

4. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპულიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად დააწესონ სისტემატური კონტროლი ამ ბრძანებულების შესრულებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 6 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საფუძველის მოდგმა ღვთისაგან“ თუ...

პატიოსანი წკიპურტი უფრო მწვავეა, ვიდრე ხეპრეს კომბალიო,—წერს ერთგან დიდი მიხეილ ჯავახიშვილი, და მე ასე მგონია, რომ არცერთი კომბალი, რომელიც საქართველოს თავზე ეცემოდა, ვითარცა რისხვა და ამოგდება, პატიოსნის მოქნეული არ ყოფილა არაოდეს, ბარბაროსობაში მცირედ ნავარჯიშევი კიმერიელებით დაწყებული და დელიკატ ბარბაროსად მოვლენილი ამჟამინდელ რუსთ ხელმწიფობით დამთავრებული. ამიტომაც შედარებით იოლი იყო გადარჩენის მერმეთ დათვლილი მსხვერპლისა და საქართველოს დათლილი სხეულის მონელება... 29 აპრილის მიწისძვრის „ნახელავის“ გაძლება კი უსაშველოდ გაძნელდება, თუ მასშიც მსახვრალი ხელი არ ურევია და პატიოსნის წკიპურტია იგი კერძოდ კი—დედაბუნებისა და მამა ზეციერის „ნაწყალობევი“ სამგიერო. სამგიერო არა ღვიძილისა და თავისუფლების ძებნისათვის, და პარალელურად უსაზღვრო დათმენისა და და უშურისგებო მდგომარეობისათვის, არამედ მოუვლენთა ჩვენთა, სიხლნთა ჩვენთა და ხორცთა ჩვენთა ჩვენგანითვე სიტყვითა თუ მახვილით მოკვდინებისათვის.

სიხლის ცრემლით მოტირალი გურამიშვილი საქართველოს ანალოგიურ ყოფას ასე ხატავდა:

„შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა
ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური,
ურცხვად გატეხა პირისა,
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე
დახდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება
ქვრივთა ობოლთა მწირისა“.

თუკი ზეცისა და ქვესკნელის განრისხება ამის გამოა და კიდევ იმის გამო, რომ „ძმამ ძმას სახრე გადუჭირა“ (ოსებმა, თათრებმა? აფხაზებმა), მაშინ, ალბათ გვეყოფა ნანგრევებში ცოცხლად ჩამარხული დედა-შვილი ცოდვათა ჩვენთა და წამხდართა ზნეთა. განსაწმენდელად. და თუ მართლა სამყაროს იდუმალებიდან მოდის ეს მწვავე წკიპურტი, მით უფრო უსაშველოდ მძიმე და საოცრად მწარეა იგი, ვიდრე წართმეული თავისუფლება და მისი დაბრუნებისათვის ცხლად დაღვრილი სისხლი და ცოცხლად დამწვარი სხეული.

კომენტარის ნაცვლად

მდუმარებით შემოგვხვდა 30 აპრილს ამბროლაურის რაიონი. აღარავის ეპატიუებოდნენ ოჯახში სტუმარზე გადაყოლილი რაჭველები, დიდიან-პატარიანად ქუჩებში იდგნენ გაოგნებულნი და შიშნაკამნი...

ჩვენთვისაც არაფერი გაგვაჩნდა ბევრი, ალბათ ბარე ერთი თვე მაინც იქნება სახალხო განათლების განყოფილების თანამშრომელთ ხორცი არ გვინახავს თვალით. რა გაგვაჩერებდა სამსახურში, ან ხელცარიელი რა წაგვიყვანდა გაჭირვებულ მეზობლებთან... შუადღემდე მოვახერხეთ: ხორცი, ყველი, ლობიო, ნიგოზი, შაშხი, თონის ხაჭაპურები და ლობიანები, რამდენიმე კარავი... იმ დღეს არც ბენზინზე წუწუნებდა ვინმე და არც მანქანაზე, თუკი იცოდნენ, რად გვჭირდებოდა ერთიც და ორეს...

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ყურადღებით სავსე დარჩენილან ამბროლაურში... შტაბში მისულებს პრეფექტი გოჩა ბიჭაშვილი და განათლების განყოფილების გამგე რაჭული სიდინჯით გვიამბობენ უბედურების შესახებ, „ნობათს“ მორიდებული კმაყოფილებით იბარებენ და დანგრეული სკოლებისაკენ მიგვიძღვებიან... კედლებშელეწილი 40 ბინიანი სახლის ეზოში შევხვდით ბავშვებს, პროდუქტი დავუტოვეთ და ვთხოვეთ, ჩვენთან წამოსულიყვნენ სასწავლებლად. გავვოცდით—განათლების განყოფილების მესვეურთ უკვე უზრუნიათ მოსწავლეების დაუზიანებელ სოფლის სკოლებში განაწილებაზე... წესში შევდივართ, ბარაკონს ვუთვალთვალებთ, ნუთუ ამ ახალთახალი სახლებივითაა ჩამხობილი ისიც? — დაზიანებულა, მაგრამ არ წაქცეულა. ჩვენი მეგზურები შეფარვით ვგვიამბობენ: ეს კი გადარჩა, მაგრამ ნიკორწმინდამ „გვიღალატაო“.

უგუმბათო ნიკორწმინდის ხილვა მტერსაც სისხლით ამოუვსებს თვალებს, გუნება სამუდამოდ მოგვეშხამა. უალავერდო, უსვეტიცხოველო და უნიკორწმინდო საქართველო მართლაც რაღაა. 10 საუკუნე იცოცხლო, მცირეა განა? მაგრამ, რაკი „ხელოვნებაა თავად უკვდ ვება“ გაძლებული დრო წვეთია ზღვაში. „აქ რომ თაღებია, სვეტთა შეკონება, ისე ნაგებია, სიზმრის შეგონება“—მღერის გალაკტიონის ლექსი, მაგრამ სადღაა თაღები?..

ვინაიდან ჩვენზე მეტად უჭირთ, ანაგზავნეს ჩვენ ქვეყანა მოვალთ-თქო შევეჭირდით მასპინძლებს... კარვები და თეთრეული გვჭირდებაო —ხათრიანად დაგვბარეს...

ლეჩხუმის უანგისფერი კლდეები და უძველესი სალოცავები უფლებას არ გვაძლევენ, ოდნავ გაბზარულ ჭერზე ვიფიქროთ წარამარა, და რადგან საშიში არაა, ქვეყანა შევაწუხოთ მისი შეკეთებისათვის. ვისაც გაუსაძლისად უჭირს—საჩხერის, ონის, ამბროლაურის რაიონის მცხოვრებთ, იმათ მივაშველოთ ამჯერად ხელი.

ამჯერა, წერილის წაკითხვიდან სამი დღის განმავლობაში განათლების განყოფილებაში შექმნილ შტაბში რაიონის სკოლებიდან აღმზრდელთა და აღსაზრდელთაგან შენაგროვები ჩასაცმელ-დასახურავი და სურსათ-სანოვაგე გამოიგზავნება, ჩვენზე მწარე ბედში მყოფ ბავშვებს ნუგეშად და ხსნად რომ მიუვიდეს.

გიფარავდეთ „ღმერთი მშვენიერების, ქველმოქმედებისა და სახიერების“!

ლელა ღომთაძე.

ეკონომიკური მიმოხილვა

ახალი ფასებით

ახალი ფასებით ცხოვრებამ თითოეულ ჩვენთაგანს, მთლიანად ეკონომიკასაც ახალი პრობლემები დაუმატა, მაგრამ უარყოფითი გამოცდილებაც არ შეიძლება უსარგებლოდ ჩაითვალოს, ის კი ასეთია:

ჯერ ერთი, ის, რომ საცალო ფასების რეფორმამ, მთელი სიცხადით გვიჩვენა: ლეგენდები, თითქოს სახელმწიფო ბეღელი სავსე იყო საქონლითა და პროდუქტებით,—უნიადაგო აღმოჩნდა. თვით ფასების მრავალგზის გადიდების მიუხედავადაც კი თავისუფალ ბაზარზე არ გამოჩენილა ყოველივე ის, რაც განსაკუთრებით უჭირს ხალხს.

მეორე, საცალო ფასების ახალი სისტემის შეჯახებამ რეალურ ცხოვრებასთან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაამსხვრია იმედები ფასის გათანაბრების შესახებ. სხვადასხვა რესპუბლიკების, რეგიონების, ქალაქების მშრომელთა გამოსვლებმა აიძულა ადგილობრივი ხელისუფლება გაფაცებით ეძებნათ მუშებისა და მოსამსახურეების, სტუდენტებისა და პენსიონერებისათვის სიძვირის კომპენსაციის წყაროები. ამუამად დანამატები თავისი სიდიდით საგრძნობლად განსხვავდებიან.

მესამე, არ გამართლდა იმედები რომ ბოლოს და ბოლოს დამყარდებოდა წესრიგი თვით ფასწარმოქმნის სისტემაში. მყიდველებმა აღმოაჩინეს, რომ სხვადასხვა მაღაზიებში ერთი და იმავე საქონლისა და პროდუქტის ფასები განსხვავებულია.

თუ ამას დავამატებთ რიგი კატეგორიის მოსახლეობისათვის საკომპენსაციო დამატების გადახდის წესში უწესრიგობას, მაშინ მივიღებთ სწორედ იმ სურათს, რომელსაც ფასების რეფორმების წინა ხანებში ხატავდნენ მისი ყველაზე უფრო თავგამოდებული მოწინააღმდეგეები, რომლებიც ფასების ბრავალგზის გადიდების შედეგად მხოლოდ ნეგატიურ შედეგებს წინასწარ მეტყველებდნენ.

რა მიიღეს ყოველივე ამის შედეგად მყიდველებმა და მომხმარებლებმა? ჯერჯერობით—არაფერი. კვების პროდუქტების, საქონლის და მომსახურების ხარისხი ახალი ფასების მიხედვით არაფრით აღემატება წინანდელს, ხოლო რიგები კი ბევრ მათგანზე კვლავ დიდია.

იმისათვის, რომ რაღაცნაირად შემსუბუქდეს „ეტიკეტთა შფოთის“ შედეგები საჭირო იქნება ადამიანებმა დამატებითი შემოსავლის წყაროები ეძიონ. ეი სწორედ იქ არის დამალული ის ზამბარები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ, რათა საცალო ფასების რეფორმიდან მივიღოთ ის უკუგება, რომელსაც ითვალისწინებდნენ მისი „მამები“. საქმე ეხება უფრო ეფექტიანი და ხარისხიანი შრომის მოტივაციას.

ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საცალო ფასების რეფორმა არ მოწყდეს დროში იმ ღონისძიებებს, რომლებიც გათვალისწინებული იყო ეკონომიკის ყველა სფეროში წარმოების გასაჯანსაღებლად გამამხნევებელი მოტივების გაძლიერების მიზნით. საკუთრების გასახელმწიფოებრიობის მიზნით საჭიროა ხაჩქარო და კონკრეტული ნაბიჯები გადადგას და ბოლოს რადიკალურად გადალინჯოს ჩვენი შრომის ანაზღაურების ქაოსური სისტემა.

მარტო არ დატოვეს

თბილისი. ქართველმა ძიუდოისტმა გიგა რთველიაშვილმა შეჯიბრების დროს უმძიმესი ტრავმა მიიღო, რის შედეგადაც საწოლს მიეჯაჭვა.

ოპერაციები ჩატარდა თბილისის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და აკადემიკოს ნ. ბურდენკოს სახელობის მოსკოვის ნეიროქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც გიგა თითქმის 9 თვე იწვა. გავარჯიშებული სხეული და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა კაცის მამაცური ხასიათი მტკიცედ ეწინააღმდეგებოდნენ ავადმყოფობას, თანდათან დაუბრუნდა სიცოცხლე იდაყვის სახსრებს.

ჭაბუკისათვის ისიც სტიმული იყო, რომ მძიმე წუთებში მარტო არ დარჩენილა. სანახავად მოდიან მეგობრები, სპორტსმენები. ხშირი სტუმარია მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე. დიდად დაეხმარა რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო კომიტეტი, რომელმაც ბინა მისცა თბილისის ახალ მიკრორაიონში—დიდ დიღომში, ოჯახს გამოუყო ავტომანქანა, რაც ასე აუცილებელია ავადმყოფის მოსავლელად. ჭიდაობის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ გიგას ყოველთვიურად 150 მანეთი სტიპენდია დაუნიშნა, ახლანდელი საზომით ეს არც ისე დიდი თანხაა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მორალური მხარდაჭერა.

ავადმყოფი მოინახულა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. მან გიგა რთველიაშვილს გამოჯანმრთელება უსურვა და ბიბლია და ნაკურთხი სანთლები აჩუქა.

გიგა ისევ ებრძვის სენს. მაგრამ, როგორც ჩანს მედიკოსთა კიდევ ერთი ჩარევა აუცილებელია. საბჭოთა კავშირში ყველა შესაძლებლობა ამოწურულია. საზღვარგარეთ და კერძოდ კი აშშ-ში, ასე აუცილებელი ოპერაციები და მკურნალობა დიდი ფული ღირს. ამიტომ საქართველოში გახსნილია სავალუტო ანგარიში ყოფილი სპორტსმენის დასახმარებლად.

სურათზე: გიგას სტუმარია კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

გ. კიკვაძის ფოტო.

(საქართველო-საკდესი).

იქნებ დაიძლიოს?

კალიფორნიის ბიოტექნოლოგიური კორპორაციის „ჯენინტეკის“ მკვლევარები შეუდგნენ ახალი ვაქცინის გამოცდას, რომელიც გათვალისწინებულია შიდსის ვირუსით დასნებოვნებული ადამიანების სამკურნალოდ. მაიმუნებზე ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ სამედიცინო პრეპარატი, **რომელმაც „ჯიპი—120“ დასახელება მიიღო**, უნარი შესწევს აღადგინოს შიდსით დაავადების შედეგად დაკარგული იმუნური სისტემები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი ებრძვის დაავადებას.

ექსპერიმენტები ჩატარდება 55 ჭოხალიანზე. მეცნიერები ოპტიმისტურად აფასებენ ახალი ვაქცინის გამოყენების პერსპექტივას. ექსპერიმენტებისა და დაკვირვების დროს, მაგალითად, აღმოაჩინეს, რომ პრეპარატის გამოყენების შემდეგ შიდსის ვირუსით ინფიცირებულ ორ შიმპანზეს უკვე ორ წელზე მეტია აღარ ემჩნევა ამ საშიში დაავადების ნიშნები. ცხოველებზე ჩატარებული ცდების შედეგები მეცნიერებს საშუალებას აძლევს იფიქრონ, რომ ამ ვაქცინით ადამიანების მკურნალობა აგრეთვე დადებით შედეგებს მოიტანს.

9 მაისი — დღესასწაული თუ?

იქნებ თქვენი ახლობელი იყო

რამდენიმე დღის წინ რედაქციაში მოვიდა უკრაინელი ჟურნალისტის, ქალაქ ზაპოროჟიეში მცხოვრებ მიხეილ სტეფანეს ძე გლუშჩენკოს წერილი (სხვათაშორის ქართულ ენაზე), რომელთან ერთად გეიგზავნის მასალას ჩვენი რაიონიდან ომში წარგზავნილ დაღუპულ მებრძოლთა შესახებ, იმ გარაუდით, რომ შესაძლებელია ნათმა ახლობლებმა არ იცოდნენ, თუ რა ბედი ეწიათ ან სად არიან დასაფლავებული ისინი.

მასალები ბატონმა მიხეილ გლუშჩენკომ შეაგროვა ქალაქ პოდოლსკში სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში მუშაობისას.

რედაქცია მადლობას უხდის უკრაინელ ჟურნალისტს იმ მასალის მოწოდებისათვის, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

იონა სერგოს ძე ბენდელიანი—დაბადებული 1908 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ქულბაქში, მსახურობდა 392-ე მსროლელ დივიზიაში. დაიღუპა 1942 წლის 9 სექტემბერს, დასაფლავებულია სოფელ (სტანიცა) ნოვოპოლტავსკში (ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ).

ნიკოლოზ ხარიტონის ძე მიქაძე—დაბადებული 1920 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ღუღუნეთში, მსახურობდა 276-ე მსროლელ დივიზიაში. მოკლული იქნა ბრძოლაში 1943 წლის 21 სექტემბერს. დასაფლავებულია მდინარე ყუბანის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელ (ხუტორ) შაკორსკიდან 15 კილომეტრის დაშორებით (კრასნოდარის მხარე, ტემრიუკის რაიონი).

მისი დედა—სოფიო პეტრეს ასული მიქაძე, 1943 წელს ცხოვრობდა ცაგერის რაიონის სოფელ ღუღუნეთში.

ერმილე მიტროფანეს ძე მინდაძე—დაბადებული 1900 წელს ცაგერის რაიონის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, მსახურობდა 276-ე მსროლელ დივიზიაში. დაიღუპა 1943 წლის 16 მარტს. დასაფლავებულია სოფელ (ხუტორ) ბელიკოვის ძმათა სასაფლაოზე (ჩერნოიარკოვსკის ახლანდელი სლავიანსკის რაიონი, კრასნოდარის მხარე).

აკაკი ერასტის ძე მდივანი—დაბადებული 1916 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა ცაგერში. მსახურობდა 276-ე მსროლელ დივიზიაში. დაიღუპა 1944 წლის 29 ივლისს. დასაფლავებულია ძმათა სასაფლაოზე სოფელ სტარავისის ახლოს (სტრიის კის რაიონი, დროგობიჩსკის ოლქი).

მისი დედა—ევდოკია სემინარის ასული მდივანი 1944 წელს ცხოვრობდა ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა ცაგერში.

კონსტანტინე გიორგის ძე ყურაშვილი — დაბადებული 1898 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ნაკურალეშში, მსახურობდა 276-ე მსროლელ დივიზიაში. მოკლული იქნა ბრძოლაში 1943 წლის 29 მარტს. დასაფლავებულია სოფელ (ხუტორი) ჩერნოიარკოვსკის ძმათა სასაფლაოზე (კრასნოდარის მხარე, პეტროვსკის რაიონი).

მისი ცოლი—გალინე ნიკოლოზის ასული ყურაშვილი 1943 წელს ცხოვრობდა ცაგერის რაიონის სოფელ ნაკურალეშში.

დიმიტრი ზაქარიას ძე კოპალიანი — დაბადებული 1911 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ლუხვანოში. მსახურობდა 392-ე მსროლელ დივიზიაში. დაიღუპა 1942 წლის 5 სექტემბერს მდინარე ბაქსანის გადაცურვისას.

არსენ კონსტანტინეს ძე კოპალიანი — დაბადებული 1907 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ლუხვანოში; მსახურობდა 392-ე მსროლელ დივიზიაში. მოკლული იქნა ბრძოლაში 1942 წლის 9 სექტემბერს, დასაფლავებულია სოფელ (სტანიცა) ნოვო-პოლტავსკში (ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ)

მიხეილ ლაზარეს ძე ყაბლაშვილი— დაბადებული 1892 წელს ცაგერის რაიონის სოფელ საირმეში. მსახურობდა 276-ე მსროლელ დივიზიაში. დაიღუპა 1943 წლის 12 მარტს. დასაფლავებულია სოფელ (ხუტორი) ბელიკოვის ახლოს (კრასნოდარის მხარე, ჩერნოიარკოვსკის ახლანდელი სლავიანსკის რაიონი).

მისი მეუღლე მარიამ გიორგის ასული ყაბლაშვილი 1943 წელს ცხოვრობდა ცაგერის რაიონის სოფელ საირმეში.

ნიკოლოზ ივანეს ძე ქვარიანი—დაბადებული 1912 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ორხვში. მსახურობდა 276-ე მსროლელ დივიზიაში უფროს სერჟანტად. დაიღუპა 1943 წლის 7 მარტს. დასაფლავებულია სოფელ ბელიკოვის ძმათა სასაფლაოზე (ჩერნოიარკოვსკის რაიონი, კრასნოდარის მხარე).

(გაგრძელება იქნება)

ფრონტელი ძმების მოსაგონარი

ღარიბი გლეხი იყო ნასპერელი სიმონ ჩხეტიანი. ადრეული ბავშვობიდან ობლად დარჩენილს სოფელმა გაუწოდა დახმარების ხელი. საქმის ერთგულებითა და შრომისმოყვარეობით მეზობლების პატივისცემა დაიმსახურა, მერე ოჯახს მოეკიდა და ექვსი შვილი გაუზარდა სამშობლოს. ქალებმა, გალინემ და მარომ, ღირსეული, ფუძეძლიერი ოჯახები შექმნეს. ვაჟებიდან მხოლოდ ერთმა, ვალიკომ, მოასწრო ქორწინება—ცოლად აჰარელი მაშიკო ფრუიძე შეირთო. როცა მათი პირმშო, პატარა დალი, დაიბადა, ავად იყო მოქუფრული სამშობლოს ცა. სამშვიდობო ხელშეკრულების მიუხედავად, რომელიც მოსკოვსა და ბერლინს შორის დაიდო, ეჭვი არავის ეპარებოდა ომის გარდუვალობაში. ჰაერში დენთის სუნი იდგა. შეჯახება ევროპაში თავისი გამარჯვებებით ცნობილ გერმანიის ჯარსა და წითელ არმიას შორის გარდუვალი ჩანდა.

მალე საბედისწერო ჟამმაც დაჰკრა, 1941 წლის 22 ივლისს გერმანიის რჩეულმა დივიზიებმა საბჭოთა კავშირის საზღვარი გადმოლახეს, დაიწყო დიდი ომი. ქვეყანაში ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის ტოტალური მობილიზაცია გამოცხადდა. ერის იმედად მოვლენილი რჩეული ვაჟკაცები მშობლიურ ჯერას მოწყვიტეს და ომის ქარცეცხლიან გზას გაუყენეს. არავინ გაითვალისწინა, რომ მათ უმრავლესობას მხედრული ცხოვრების არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა და თავიდანვე იყო განწირული, როგორც საზარბაზნე ხორცი.

ათასობით ლეჩხუმელს შორის, უთანასწორო საბედისწერო ბრძოლაში რომ აღმოჩნდა ჩაბმული, იყო ნასპერელი სიმონ ჩხეტიანის სამი ვაჟი, ოჯახის სამი იმედი და ბურჯი: ვალიკო, ნესტორი და ალექსანდრე. მეოთხე, შალვა, მანამდე იმსხვერპლა ავადმყოფობამ.

ომისათვის მოუმზადებელი და სუსტად შეიარაღებული წითელი არმია გააფთრებული ხმალთაკვეთების პირველ დღეებში უკან იხევდა და ცოცხალი ძალის დიდ ზარალს განიცდიდა. მილიონობით უდანაშაულო ადამიანი ეწირებოდა ჰიტლერის ავანტიურას, იღვრებოდა სისხლი, ინგრეოდა ქალაქები და სოფლები.

რა ჰქონდათ ბედკრული საქართველოს შვილებს გერმანელებთან გასაყოფი, როცა არავის ახსოვს, რომ გერმანია და საქართველო ერთმანეთს დაპირისპირებოდეს. სადაო არც ავბედით 1941 წელს იყო რაიმე, მაგრამ, როცა სოციალისტური რუსეთისა და კაპიტალისტური გერმანიის ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა, ქართველებიც „უფროსი ძმის“ მხარეზე აღმოჩნდნენ, ბელადის მიერ ჩანერგილი გამარჯვების მტკიცე რწმენით შეიარაღებულნი.

რა იცოდნენ მაშინ ალგეთს გაზრდილმა მგლის ლეკვებმა, რომ გაივლიდა ხანი და ნაკლებად დაზარალდაო, იტყოდა უმადური უფროსი ძმა საქართველოზე, რომელმაც 700 ათასი რჩეული შვილი გააგზავნა ფრონტზე. ალბათ, სტალინიც არ იფიქრებდა, რომ მის მიერ გამოხსნილი და დაუმსახურებელი დიდების კვარცხლბეკზე აყვანილი რუსეთის ცინიზმი ყოველგვარ ზღვარს გადალახავდა, მის უმაგალითო ერთგულებას და განუზომელ ღვაწლს დავიწყებას მისცემდა და, გენერალისიმუსის გარდაცვალების შემდეგ, გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავი შარავანდედით დაუმსახურებლად შეამკობდა სახელოვან რუს მარშალს გიორგი ჟუკოვს.

ისტორია მეორდება, ასე იყო მაშინაც, როცა ირანსა და ოსმალეთში გადახდილი გმირული ბრძოლების შედეგებს სპარსელები და თურქები იმკიდნენ, სახელოვანი უნდილაძეები, სწორუპოვარი სააკაძე და გიორგი მეთერთმეტე კი დევნისა და გარდუვალი დაღუპვისათვის იყვნენ განწირულნი. ასეთი ყოფილა სამშობლოს მოწყვეტილი კაცის ხვედრი, რომელიც ბოლომდე გაიზიარა სტალინმაც.

ყირიმის გათავისუფლებისათვის წარმოებულ უიღბლო ბრძოლებს შეეწირნენ ვალიკო და ალექსანდრე ჩხეტიანები, ყველაზე უმცროსმა, ალექსანდრემ, უფრო ადრე, 1941 წელს, დაცალა სიკვდილის ფიალა, 1942 წელს ბრძოლის ველზე დაეცა უფროსი ძმა ვალიკოც. ორჯერ იზეიმა სიკვდილმა გამარჯვება ჩხეტიანების ბედშავ კერაზე.

მესამე ძმა, ნესტორი, შინ მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა. მისი ჯანმრთელობა იმდენად იყო შერყეული, რომ ოჯახის შექმნაზე აღარ უფიქრია და სიცოცხლის დარჩენილი დღეები მთლიანად მიუძღვნა ობოლი ძმისწულის დალის აღზრდას. ბიძების კვალს გაყვა უფროსი დისშვილი ანთიმკი ფრუიძეც. მისი სვეგამწარებული მამა, თეოფანე, საფლავში ისე ჩავიდა, რომ შვილის დაღუპვის ამბავი არავისთვის გაუმხელია. ბედის მუხანათობამ შეარყია მუხახავით ძლიერი სიმონ ჩხეტიანის ჯანმრთელობაც. წავიდა ამ სოფლიდან ვალმოხდილი ბერიკაცი და თან წაიყოლა უღვთოდ დაღუპული შვილების ჯავრი. მძიმე შრომამ და გაუბედურებულ ოჯახზე დარდმა ხელი დარია ჯარისკაცის ქვრივის, მაშიკოს ჯანმრთელობასაც, ის მაშინ გამოეცალათ ხელიდან, როცა პატარა შვილიშვილებს ესაჭიროებოდა მისი ალერსი.

დალი, რომელსაც თავისი ბედი თანასოფელ ე. ირემაძეს დაუკავშირა, ახლა ოთხი შვილის დედაა. მათ შორის სამი ვაჟია და ერთი ქალი. ისინი ღირსეული ახალგაზრდები არიან. ოთხივენი მართლაც სხვა ვარსკვლავზეა გაჩენილი, მათ ბედმა გაუცინათ. ახალგაზრდები ცხოვრების ასპარეზზე მაშინ გამოდიან, როცა საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იზეიმა. მამულის სიყვარულით გულანთებული ყმაწვილები დავიწყებას არ აძლევენ ფრონტზე დაღუპული წინაპრების ნათელ ხსოვნას და გადაწყვეტილი აქვთ აღადგინონ 1987 წლის სტიქიური მოვლენებისაგან დანგრეული ბაბუასეული სახლი, ასეთია სოფლის აზრიც, რომელიც ღირსეულ პატივს მიაგებს თავისი შვილების მიერ ფრონტზე დაღვრილ უმანკო სისხლს.

ომარ ჭაგუკიანი.

ვალერიან ჯამბურიძე 1936 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 2 წლის შემდეგ უმცროსი მეთაურის წოდება მიიღო და [illegible] გახდა კიდევ სამი წელი ემსახურა სსრკ-ს არმიაში, ომმა საოფიცრო სკოლაში მოუსწრო. ჯერ გამანადგურებელი ბატარეის კომისარი იყო, შემდეგ უკრაინის მე—4 ფრონტზე იბრძოდა. 1945 წელს, ომის დამთავრების შემდეგ, კვლავ სამხედრო სამსახურში დარჩა და ორი წელი დაჰყო გერმანიაში.

ეს ამბავიც იმ წლებში მოხდა. ვალერიანი ერთ-ერთი სამეურნეო საწყობის განმგებელი იყო. ოფიცერი და თანაც მოვალეობის ერთგული და უსიტყვო შემსრულებელი, უფროსების თვალში კეთილგანწყობას იმსახურებდა.

ოფიცრებს ხელმძღვანელობამ სამხედრო ფორმის შესაკერად ქსოვილი დაურიგა. მკერავთან

ფარდის ამღება დარჩენილი ამბავი

დიდი რიგი იდგა, როცა ვალერიანის რიგმაც მოაღწია, მკერავმა იგი ეჭვით აათვალიერ-ჩაათვალიერა და უთხრა: თქვენ რუსს არ ჰგავხართო.

—მე ქართველი ვარ—უპასუხა ვალერიანმა. საინტერესოა, აქ ჩემთან ერთი ქართველი გოგო დადის,—თავი გადააქნია მკერავმა. ჩაფიქრდა ვალერიანი ვინ უნდა იყოსო. მკერავთან მეორედ მისულს მაგიდაზე პატარა სამაგიდო კალენდარისოდენა წიგნი დაუხვდა, გადაშალა და, ჰოი, საოცრებავ... „ვეფხისტყაოსანი“, მკერავმა ეშმაკურად ჩაიღიმა. ახლა კი ნამდვილად შემიძლია შეგახვედრო შენს თანამემამულეს, მას ეჭვი ეპარებოდა შენს ქართველობაში, ეს წიგნი დამიტოვა და დამაბარა თუ ხელს მოკიდებს და გადაშლის, ნამდვილად ქართველი იქნებაო.

მეორე დღეს მკერავთან შეხვდა ვალერიანი იმ ქართველ გოგონას. გამარჯობა,—დამტვრეული ქართულით უთხრა მშობლიური სალამი კაცს. ვალერიანი გოგონას ბედით დაინტერესდა. თუ ჩემი და ჩემი ოჯახის ამბავი გაინტერესებს, ჩემთან მოდი სტუმრად, მე აქედან 40 კილომეტრში ვცხოვრობ, ელბის მეორე მხარეს. ისე დაშორდნენ ერთმანეთს გოგონას ვერც სახელი და ვერც გვარი ვერ ათქმევინა.

ელბის მეორე მხარე ინგლისელების ზონა იყო და იქ გადასვლა, მითუმეტეს სამხედრო პირისათვის, დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ხელმძღვანელობაშიც არც ისე ადვილი იყო საშვის მოპოვება.

ვალერიანმა ეშმაკურ ხერხს მიმართა. ოფიცრებს თვეში ოთხ ლიტრ არაყს აძლევდნენ, ან 3 ლიტრ კონიაკს. ვალერიანი სახელს ინახავდა... და ერთხელ სისუფთავის შემოწმებისას, რუს ოფიცერს არაყი შესთავაზა, მას სასმელის დანახვაზე თვალები გაუფართოვდა, ოფიცერი ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და ვალერიანის თხოვნას უსმენდა. ბოლოს, როცა ვალერიანმა საჩუქრად შესთავაზა სასმელი, რუსი ოფიცრის მოთმინების ძაფი გაწყდა, იგი სასმელისათვის სულს გაყიდდა... არა თუ საშვს, თანაც ვისთვის,

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარდის მიღმა დარჩენილი ამბავი

(დასასრული)

ქართველისათვის, წაიღოს და წავიდეს, ჯანდაბამდე გზა ჰქონია, თუ მოკლავენ, არც მაგაზე ინაღლებს.

ვალერიანმა კარგად იცოდა რუსს პატივისცემის საზღაურს მაშინვე თუ არ გამოსთხოვდა, მეორე დღეს ის პატივისცემა აღარ ეხსომებოდა... და არც დააყოვნა, პასუხად კი ელბის მეორე მხარეს გადასასვლელ საშვთან ერთად, ელბაზე. მდებარე სასაზღვრო ზონის შემოწმების უფლებაც მიიღო.

მეორე დღესვე გაემგზავრა ვალერიანი თავის ქართველ ადიუტანტ კონჯარიასთან ერთად შეამოწმა საზღვარი და დაიბარა თუ განსაზღვრულ დროზე არ დავბრუნდი, ჩემს მოსაძებნად ათეული გამოგზავნეთო.

კიხთვით მიაგნო გოგონას მიცემულ მისამართს. ოჯახმა თბილად მიიღო. მაშინვე მის საპატივცემულოდ როგორც ქართველოჯახის უფროსებმა კი ამასობაში თა წესია, სტუმრები მოიწვიეს. თავისი 3 სავაჭრო ობიექტი მოატარა. დიდხანს ისაუბრეს, მასპინძელმა ვალერიანს დარჩენა შესთავაზა, სიძედ მეუღლები და ერთ სავაჭრო ობიექტს შენ მოგცემ, დროებით ამერიკაში იცხოვრებ, შემდეგ როცა ყველაფერი მიწყნარდება, აქ გადმოგიყვანო და მოფიქრების დრო მისცა. იმ ღამით გვიან დაბრუნდა უკან ვალერიანი. დიდხანს იფიქრა დარჩენილიყო თუ არა იქაურ ქართველებთან საცხოვრებლად, რომლებმაც საკუთარი ვინაობა ჯერჯერობით არ გაუმხილეს მას. სამტრედიიდან ვართო, მხოლოდ ეს უთხრეს. ყველაფერი აწონ-დაწონა.

ოჯახზეც ბევრი იფიქრა, რომელსაც სტალინური რეჟიმი მიწასთან გაასწორებდა და უცხოეთში დარჩენას ისევ თავის სამშობლოში ცხოვრება არჩია.

მადონა მახაროზლიძე.

ლა, მესამე საპრიზო ადგილისთვის ერ[illegible] ზუბისა [illegible]

სპორტი

სპარტაკიადის პროგრამით

დასასრულს მიუახლოვდა რაიონის საშუალო სკოლების ასპარეზობა სპარტაკიადის პროგრამით. ჩატარდა შეჯიბრება ვაჟთა კალათბურთში ალპანისა და ცაგერის ზონებში წრიული სისტემით.

შეჯიბრებაზე უძლიერესი გუნდის სახელი მოიპოვა და პირველი ადგილი დაიკავა ცაგერის საშუალო სკოლის გუნდმა. ერთი წაგებით მეორე ადგილზე გამოვიდა ჩხუტელის საშუალო სკოლები. ოყურეშელებმა გაინაღდეს მესამე ადგილი.

პარალელურად შეჯიბრება გაიმართა ალპანის ზონაში. პირველ ადგილზეა ორბელის საშუალო სკოლა, რომელმაც ყველა შეხვედრა წაუგებლად ჩაატარა. მეორე ადგილზეა ლაჯანის სკოლა-ინტერნატის კალათბურთელთა გუნდი, მესამეზე—ალპანის საშუალო სკოლა.

სპარტაკიადა დასასრულს უახლოვდება. ჩემპიონობისათვის იბრძვიან ლასურიაშის, ცაგერის, ჩხუტელის საშუალო სკოლების, პროფსასწავლებლის გუნდები.

დარჩენილია სპარტაკიადის ერთი სახე—ფეხბურთი და სპორტული თამაშების ფინალები.

ჯ. შკუბულიანი.

გილოცავთ

ნატო შკუბულიანს
გია ფრუიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. თავისუფლება, სიკეთე და სიყვარული დაგბედებოდეთ, გფარავდეთ ღმერთი!

ქვ. ცაგერის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

ლალი გუჯუს ასულ ლეთოდიანს
გიორგი ალიოშას ძე კვირკაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იბედნიერეთ, დაგბედებოდეთ შვილთა სიმრავლე.

ბუჭუ ბენდელიანი ოჯახით.

ლალი გუჯუს ასულ ლეთოდიანს
გიორგი ალიოშას ძე კვირკაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ შვილთა სიმრავლეს, სიყვარულს და ლამაზ ცხოვრებას.

იამზე ბურჯალიანი, იზო მურცხვალაძე, ნანი ციხილაძე, ციცო, ცარო გუგავები, ლალი, ლელა კვირკაშვილები.

მაყვალა მეშველიანს
მურთაზ ლარცულიანს

გილოცავთ ბედნიერებას, შეგექმნათ ფუძემლიერი ოჯახი, იხარეთ, იმრავლეთ, იბედნიერეთ.

ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები.

ლალი გუჯუს ასულ ლეთოდიანს
გიორგი ალიოშას ძე კვირკაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძემლიერი და შვილმრავალი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

სოსო, სოზარი, ანზორი, ვახტანგი კვირკაშვილები, ნოდარ კოპალიანი ოჯახებით.

მეგი ტუხას ასულ სვანიძეს
გოგიტა რომანის ძე ახვლედიანს

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ, იბედნიერეთ.

სოსო, სოზარი, ანზორი, ვახტანგი კვირკაშვილები, ნოდარი კოპალიანი ოჯახებით.

გილოცავთ

ნათელა, რუბენ ხვადაგიანებს

გილოცავთ მარინეს ბედნიერებას, მარადიული სიყვარული ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი.

ცაგერის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები.

ლია, ზაურ ახვლედიანებს

გილოცავთ შვილების, ნატოსა და იურის ბედნიერებას. ფუძემლიერი და შვილმრავალი ყოფილიყოს მათი ახლადშექმნილი ოჯახი.

ციცო სადილიანი, ეენია მანაგაძე, ლია გუგავა ინგა თოთაძე, ლეილა კვირკაშვილი, მედიკო ნემსაძე, აზა ირემაძე, ლია და ლია მუშკუდიანები, მაია ბახსოლიანი.

ლედი, დიტო, ეთერ, შიო ღაჭყეპიანებს
სულიკო, ლელა, ბენო, ნაპოლეონ სიღაგაძეებს

გილოცავთ შვილის, შვილიშვილისა და დისშვილის შეძენას. მრავალ პატარას აეხმიანებინოს თქვენი ფუძე-ჭერი.

გივი ბენდელიანი ოჯახით.

ლედი, დიტო ღაჭყეპიანებს
სულიკო, ლელა, ნაპოლეონ, ბენო სიღაგაძეებს
ხათუნა, ხვიჩა ბენდელიანებს

გილოცავთ შვილის, შვილიშვილის, დისშვილის, ცოლისდისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი. მრავალი შვილი შემატებოდეს თქვენს ტკბილ ოჯახს.

ნესტორ მუშკუდიანი, ვარდო სილაგაძე ოჯახებით.

გულო და რომან ახვლედიანებს

გილოცავთ გოგიტასა და მეგის ბედნიერებას. ულრუბლო ცა ჰქონოდეთ მარადჟამს.

მერაბ, მუხრან დაშნიანები, ამირან მუშკუდიანი, თამაზ მურცხვალაძე.

გრიგოლ დავითის ძე სალინაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს, ქალიშვილის ბედნიერებას. სიხარულით გაგევლოთ თქვენი ცხოვრება, თქვენს ოჯახთან ერთად გფარავდეთ ღმერთი.

ჩქუმის არასრული საშ. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

ქეთინო კოპაძიანს
ბადრი თუთისანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. ულევი სიხარული, სიყვარული, ბედნიერება დაბედებოდეს ცხოვრების გზაზე. ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და თქვენი შვილები.

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

ჟუჟუნა დავითის ასულ კვირკაშვილს

გილოცავთ დისშვილის შეძენას. ულევი სიხარული, სიყვარული, ბედნიერება ქონოდეს ცხოვრების გზაზე. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

ჩქუმის არასრული საშ. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

ნინიკო, ლუდუკი ხეცურიანებს

გილოცავთ მანანას ბედნიერებას. ბედნიერება, სიხარული და შეძენა დაბედებოდეს თქვენს ტკბილ ოჯახს.

გრიშა შკუბულიანი, გივი ბენდელიანი ოჯახებით.

მეუღლე გიორგი, ძმა არსენი, და ვერიჩკა, რძალი ანიჩკა, ძმისშვილები, დისშვილები, მაზლისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიდა რომანოზის ასული გვიშიანი-ლაკვეხელიანი.

დაკრძალვა 11 მაისს, შაბათს, სოფ. ლაჯანაში.

უახლოესი მეზობლები დადაში, გულვერ, თამაზ, ბიქტორ, ხვიჩა სალინაძეები, ომარ, ჭაბუკიანი, ზაურ, ანდრო, აფთიონ, ომარ, მერაბ კოპალიანები, რომან გვიდიანი, ჟუჟუნა შკუბულიანი, გია, ნუგზარ დავითულიანები, ავთო ჩიქოვანი, მურთაზ ღურჭუმალიძე, გენური კვირკაშვილი, იროდი ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა ამბერკის ასული შკუბულიანი.

რაიცენტრის აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაყვალა და ზაურ სალინაძეებს დედისა და სიდედრის

ვერიკო შკუბულიანის

გარდაცვალების გამო.

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სოსო ქომეთიანს ბიძის

იორამ თადეოზის ძე ფუტკარაძის

გარდაცვალების გამო.

თანაკლასელები თანაუგრძნობენ ომარი ფუტკარაძეს მამის

იორამ ფუტკარაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის 1979 წლის კურსდამთავრებულები და ხელმძღვანელი დ. გორგასლიძე თანაუგრძნობენ იზა ახვლედიანს მამის

გურგენ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

„ლეჩხუმი" გამოდის
• სამშაბათს
• ხუთშაბათს
• შაბათს

ჩვენი მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველი ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის — 22-41, რედაქტორის მოადგილის — 22-85, პასუხისმგებელ მდივნის—22-84, სახალხო მეურნეობის განყოფილების — 22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობო საამქროს —22-28

შეკვეთა № 41 ტირაჟი 4800

რედაქტორი
ნ ო დ ა რ
ნ ე მ ს ა ძ ე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა